სტამბა და რედაქცია
[ტფ]ილისი, სასახლის ქ.,
[ს]ათ.-აზნაურო ქარვასლა
[ხელ]ის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
[ხებლად] მიმართონ რედაქციას დილის
[11]-3 საათამდე და საღამოს 6—7
„წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
[ხელ]-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.
[რედაქტ]ორ-მერ მოლაპარაკება რედაქ-
[ტ]ორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან. ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 4 მან.

!!მიაქციეთ ყურადღება!!
## ჩინეთის მაღაზია
დ. ფ. დემენტიევისა
გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.
იგემეთ ჩაი პირველი მოკრებისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი
ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიობით
ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საპირო და სოჯახო ნივთს.
ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი
იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია
საჩუქრებისა და ნობათებისათვის
მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, ვლადიკავკაზ, ოდესაში, ყაზანში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პეტერბურგში და ტფილისში
!!მიაქციეთ ყურადღება!!
(100—25)

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი

## ქეფირი და კუმისი


ერთად ერთა ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.
მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—21) ო. კორონა.

## ვ. ბუნიას სტამბა
ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.
ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია.

## ექიმი
ე. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 60 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ზ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. ზერაბი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კობანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. მარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ზ. თოფურია
Лѣчебница З. С. Топурія въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** **შუამდგომლობა.** ფინანსის კომისიამ წარადგინა ქალაქის საბჭოში თხოვნა იმის თაობაზედ, რომ ქალაქი განთავისუფლდეს იმ ხარჯებისგან, რომელიც უნდება ქალაქის პოლიციის შენახვას.

*** **ქალაქის გაუმჯობესობა.** შემდგარმა კომისიამ გარდასწყვიტა საუკეთესო ქალაქის ქუჩები გამშვენებულ იყვეს ხეებით. გარდაწყვეტილია ჯერ-ჯერობით ამ წელს 1,500 ხე მოემატოს,

*** **სიქველ მოქმედთა ზაზრობამ** და სეირნობამ, რომელიც გამართულ იყო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდძალი ხალხი მოიზიდა. მუშტაიდის ვეებერთელა ბაღი სრულებით გაჭედილი იყო ხალხით ვაჭრობაც საუცხოვოდ მიდიოდა და ეჭვი არ არის, რომ შემოსავალიც კარგი იქნებოდა.

*** **ქალების ოლგინსკის ინსტიტუტის შენობის გადიდება.** სახელმწიფომ გადასწყვიტა გაადიდონ შენობა ტფილისის ოლგინსკის საქალებო ინსტიტუტისა, რისთვისაც გადადებულია 7,000 მანეთი.

*** **ორჯონიკიძეების საქმე.** ორჯონიკიძეების საქმე, რომელთაც ბრალდებათ მოპარვა შარშან ზაფხულში ფოშტიდგან 50,000 მანეთისა, გარდაეცა ხელ-მეორედ ოლქის სასამართლოს გამომძიებელს ბ-ნ რიბინსკის ახლად გამოსაძიებლად.

*** **სამსახურიდგან გამოსვლა** ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწე კოლეჟსკი სოვეტნიკი თავადი ლორთქიფანიძე სამსახურიდგან თავისი ნებით გამოვიდა.

*** **გამოცდა იუნკრების სასწავლებელში.** ამ თვის ბოლო რიცხვებში დაიწყება ტფილისის იუნკრის სასწავლებელში ეგზამენიები იმ პირთა, რომელთაც სურთ შესვლა თავის ნებით სამხედრო სასწავლებელში.

*** **ლერმონტოვის მსახური.** ამ დღეებში, ტფილისში, გარდაიცვალა, რუსის პოეტის ლერმონტოვთან მსახურათ ყოფილი ქრისტეფორე სანიკიძე 87 წლისა. განსვენებული პოეტთან იმ დროს ყოფილა მსახურათ როცა იგი დუელში გაიხმეს რის გამოც გარდაიცვალა. პოეტს ამ მსახურის მკლავზე დაულევია სული.

*** **ახალი დანიშნულება.** ტფილისის საგუბერნიო მმართველობის წევრი ბ-ნი ტელიუკინსკი დანიშნავთ ქუთაისის საოლქო სამოსამართლო გამომძიებლად.

*** **რესტორანების გადატანა მუშტაიდიდან.** ადმინისტრაციას თურმე აზრად აქვს ყველა რესტორანები, რომელნიც მუშტაიდის ახლოს არის, უნდა გადაიტანონ იქიდანაო.

*** **აკაკის „კრებული“.** ჩვენ მივიღეთ აკაკის „კრებული“ მეოთხე ნომერი შემდეგის შინაარსით.

პირველი განყოფილება: I „ქრისტე აღსდგა“—ლექსი აკაკისა, II „ტელეფონი“—ტფილისი და ქუთაისი მისივე, III „არამი ლუკმა კაცს არ შეერგება“—ამბავი, (დასასრული) თ. ხუსკივაძისა, IV „მეფე ერეკლე“—(საისტ. მასალა) ზ. ჭ. V „საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი“ მ. ჯანაშვილისა (გაგრძ.), VI „კიკოლას ნაამბობი“, აკაკისა, VII „გოტტგოლდ ლესსინგი“—(გაგრძელება) ხომლელისა, VIII „გლეხის მოგონება“—ლექსი; დ. მაჩხანელისა.

მეორე განყოფილება: I „უმარას შვილი უმარა“—(ოსური არაკი) ჩაწერილი „ქართველი ოსების“-ს მიერ, II „ყაჩაღების ამხანაგი“—ზღაპარი. ჩაწერილი ა. მაჩაბლის მიერ, III „იადონი და ბულბული“—ჩაწ. მისივე, IV „აფხაზები“, მასალა ნ. ჯანაშიასი, V „ხალხური ლექსები„—ჩაწერ. ა. მაჩაბლისა, VI „წვეული ზეპირ-სიტყვაობა“—ს. გაჩ.

*** **რა მდგომარეობაში არიან ქართველი მუშები დიდ ქალაქებში?** ბათუმი, ბაქო, ტფილისი და ცოტათი განსხვავებით ფოთი, აი სად არის განვითარებული მრეწველობა-წარმოება. ამ ქალაქებში ჩვენ ვხედავთ დიდ ქარხნებს ფაბრიკებს და მუშათა სიყურადღებო რიცხვს. ბაქოს, ფოთს და ბათუმს ნავთსადგურიც აკრავს, რომელიც თავის განსაკუთრებულ როლს თამაშობს და მთელს გროვა მუშებს იზიდავს. ბაქოში ჩვენ ვხედავთ ვეებერთელა ქარხნებს, განსაკუთრებით ნავთისას, სადაც მთელი ქალაქის მუშათა ცხრა მეათედი იყრის თავს. ბათომშიც ამავე ქარხნების ვეებერთელა განყოფილებებსა ვხედავთ, აქაც ამ ქარხნებს უნდება მთელი მუშათა დასი. ფოთში დიდი ქარხნები არ არის, მაგრამ ნაცვლად, როგორც ნავთსადგურიანი ქალაქი ითხოვს არა მცირე მუშებს (უკანასკნელ დროს მაინც). ამ ქალაქებში შეხვდებით თუთუნის სასმელების ქარხნებს, მაგრამ ესენი პატარა ქალაქების ქარხნების ტიპებს წარმოადგენენ, აქაც ორიოდე მუშას ვხედავთ და ამიტომაც ბევრი სალაპარაკო აქ არა გვაქვს-რა. მართალია, ბაქოში ტიმოფეევს აქვს დიდი ქარხანა სასმელებისა, მაგრამ შორს არც ეს წაგვიყვანს. ამ ქარხანაში დიდი 30 კაცი მუშაობდეს, გარდა ამისა ქართველი არც ერთი არ არის. რაც შეეხება ტფილისს, იგი სულ სხვა განსხვავებულ მდგომარეობაშია. ზემოდ ნახსენებ სამ ქალაქს თუ ნავთსადგურები სიცოცხლეს მატებენ და დღითი-დღე აუმჯობესებენ, ტფილისი ყოველსავე ამას მოკლებულია, ეს აგრეა, მაგრამ ტფილისს, როგორც ცენტრალურ ადგილს, უმთავრეს ქალაქს ამიერ-კავკასიისას, თავისი ძალა აქვს. სხვა ქალაქების თამბაქოს ფაბრიკები თითქმის არაფერი არ არიან (გარდა ფირალოვისა), ტფილისში ასეთი ფაბრიკები ყველაფრით ყურადღების ღირსნი არიან; ასეთივეა ტფილისის სასმელების ქარხნები (სარაჯიშვილისა, სოგომონოვისა, მელვინოვისა და სხ.), სადაც ამა თუ იმ სახის მანქანები აქვთ უკვე შემოღებული, ტფილისში ვხედავთ დიდ ამერიკა-ტილოს ქარხანას, წუმწუმისას, იქვე შუშეულებისას, ხე-ტყისას და სხვ., რომელნიც ითხოვენ მრავალ მუშებს. ბაქო და ბათუმი, ნავთსადგურით დამშვენებულნი ქალაქები, თუ ბევრ მუშებს იზიდავს, ტფილისიც არ ჩამოუვარდება ამათ. ჩვენის აზრით, ტფილისს პირველებზე არა ნაკლები მუშები სჭირდება.

ტფილისში ვხედავთ უზარმაზარს რკინის გზის სახელოსნო-დეპოებს, რომელშიც აუარებელი მუშები შრომობენ დღე-ღამ, მაგრამ ამ დაწესებულებას ჩვენ სხვა თვალით ვუყურებთ. ეს რკინის გზის კუთვნილებაა. რკინის გზა ჩვენთვის ბაქოდან დაწყებული ბათუმამდის წარმოადგენს ერთ დაწესებულებას მრავალ განყოფილებით. ასეთი განყოფილებები როგორც ტფილისში, აგრეთვე სხვაგანაც არის: სამტრედიაში, ხაშურში და სხვა უმთავრეს სადგურებზე. ეს დეპოები მეტად დიდ რიცხვს მუშებისას თხოულობს. გარდა ამისა ყველა სადგურებზე (უმთავრესზე) ხაბაკების გადასატან-გადმოსატანი, ყველა სადგურებზე (განსაკუთრებით ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში) მეისრე „სტროოჟები“ და მზგავსნი ხომ ყველგან ქართველები არიან, ესენიც ხომ იგივე მუშებია.

მაშ ტფილისის, ბათუმის, ფოთის, ბაქოს და სხ. ქალაქების ქარხნებში და სხვაგან მომუშავეთ რკინის გზის მუშებიც უერთდებიან; როდესაც მუშებზე ვლაპარაკობთ ესენიც უნდა ვახსენოთ უთუოდ. როგორც ვხედავთ ზემო ჩამოთვლილი პირობები დღითი-დღე იზიდავენ უსაქმო მუშებს. თუ საიდან მოდიან ამ ადგილებში მუშები (ქართველები) ჩვენ წინად ვთქვით. ეხლა ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ, რა მდგომარეობაში არიან აქაური მუშები.

ამ დიდ ქალაქებში მოკლე ვადით არც ერთი მუშა არ ჩამოდის. ვინც მოდის სამუშაოდ 8—9 თვე მაინც უთუოდ დარჩება თუ მეტი არ დარჩა. აქ მუშებს ერთმანეთთან შედარებით მჭიდრო კავშირი აქვთ, მაგრამ ეს კავშირი მაინც და მაინც არაფერ ხეირიანს არ წარმოადგენს. ყველა მუშები ქართველები არ არიან, სხვა ტომისანიც ბევრნი არიან. ყველას (ეროვნების მიხედვით) თავთავიანთი წრე აქვთ. ამ წრის მოქმედება კი, სამწუხაროდ, მხოლოდ ქეიფში, ჩხუბში და სხვა ასეთებში იჩენს თავს. რაც შეეხება ეროვნების სხვა და სხვაობის დავიწყებას და მუშათა ინტერესების დაცვას, ეს ხომ ახლოცარ წაეკარებათ იმათ. ქართველი მუშებიც ერთმანეთთან დაახლოვებულნი არიან, თავს იყრიან ჯგუფ-ჯგუფად, დროსაც ატარებენ, მაგრამ სად და რაში? პატარა ქალაქებში თუ არაფერი არ იზიდავს მაინც და მაინც შრომით დაქანცულ მუშას, სამაგიეროდ დიდ ქალაქებში ათასგვარი გულის გამხარებელნი დაწესებულებანი, რომელნიც თითქოს განგებ ქარხნებ ფაბრიკებს არტყია გარშემო, მაგნიტიურ ძალით იპყრობენ ახალგაზდა მუშებს. ეს აგრე ხდება, მაგრამ ასეთები უმრავლესობას არ შეადგენენ მაინც და მაინც ქეიფში თუ ხშირად ალმოაცენებენ ერთობას, სამაგივროდ სხვაში არაფერში არა აქვთ ჯერ. არ აქვთ არც ერთი საშუალება თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის (ამ საშუალებაზედაც ვიტყვით თავის დროზე). დიდ ქალაქების მუშები ხშირად რავდენიმე ერთად ერთს პაწია ოთახში დგანან. დილის ხუთ საათიდან საღამოს შვიდ საათამდის მუშაობენ; მერმე ძალიან ხშარად გაითამაშებენ ბანქოს, მეორე დღეს დილით ისევ მუშაობას და აგრე... დადგება შაბათი საღამოა გათენდება კვირა და ჩვენი მუშებიც აძლევენ თავს ცოტათი თავისუფლებას გასეირნებაში (რაიც ხშირად ჩვენებურად თავდება) დიდ ქალაქებში მუშები მეტს იღებენ, მაგრამ ნაცვლად მეტსაც ხარჯავენ: აქ ვერავინ ხედავს (ნათესავი), არავის ერიდება,, არავინ იცნობს და სხვ. ასეთ შინაურ ცხოვრებას დაუმატეთ მექარხნე მეფაბრიკეს ხერხი, ჯარიმები და სხვ. თუ ერთი მხრივ უკანასკნელი უხუთავს სულს მუშას, თვითონაც ხელს უწყობს თავის დაუწყობელ შინაური ცხოვრებით. ასეთი გარემოების წყალობით სამუდამოთ დაავადებული ბევრნი სახლშივე ბრუნდებიან ჯიბე ცალიერი შინაურების უფრო შესაწუხებლად. ათიათასობით არა გვყავს მუშები, მაგრამ ვინც არიან ისინიც ვერ ა...
ყობენ თავიანთ მდგომარეობას ხე...
ირიანად, ქარხანაში მომუშავენი
არიან, ფაბრიკაში, დეპოში თუ
რკინის გზის სადგურზე, სულ ერ-
თია, ყველგან ერთ გვარად აქვთ
ყოფა-ცხოვრება.

მალაქია ბოლქვაძ...

# სახალხო ჰიგიენა

**საუბარი ჯანმრთელობის შესახებ*)**

(რუსულიდან)

**წყლის შესახებ.**

**XI. ტბის წყალი.** ზოგ-ზო...
ტბის წყალი შეიცავს ბევრ მ...
რილს, რის გამოც იგი მწარეა...
ვარგა არც სასმელად და არ...
საშინაო საქმიანობისთვის, რო...
გორც ზღვის წყალი. ხოლო ზ...
ტბის წყალში არის იმოდენა მ...
რილი რაც საჭიროა წყლისათვი...
ეს წყალი შეიძლება იხმაროს კა...
ცა თავის მოთხოვნილების და...
კმაყოფილებლად. მაგრამ როგო...
ყველა წყალი, ისე ტბა ძალ...
ჭუჭყიანდება თუ მის ნაპირ...
სცხოვრობენ ხალხი. რადგან...
ტბები ძალიან ცოტა გვაქვს, ...
ტი ნაწილი მცხოვრებისა ვერ ...
რგებლებს ამ წყლით.

**საზოგადო დასკვნანი.** 1) ასე...
ამ გვარათ ჩვენ შეგვიძლიან ვთქვ...
რომ გარდა სუფთა წყლებისა, ...
როებისა და ზოგი ტბებისა ...
ერთი წყალი არ შეიძლება ...
თვალოს უვნებლათ ჯანმრთელ...
ბისათვის გაუსუფთავებლათ, რ...
განაც ჭის და მდინარის წყა...
თუმცა ერთი შეხედვით სუფ...
მაგრამ მათში ბევრი გაფუჭ...
ლი ნივთიერების ნაწილებია. რ...
განაც სუფთა წყლით ცოტანი ს...
გებლობენ საზოგადოთ ვიტყ...
რომ არც ერთი წყალი გაუს...
თავებლათ არ უნდა დალიოთ...
საშინაო საქმიანობისთვის შ...
ლება იხმაროთ სუფთათ შენ...
ლი: წყაროების, ჭების, მდ...
რეების და ჭალის წყლები. სა...
დებანი წყლის გასუფთავებისა. ...
გი წყალი, რომელიც შეიძ...
ვიხმაროთ უშიშრათ ჩვენი მო...
ვნილების დასაკმაყოფილებ...
ქვეყანაზე თითქმის არ არის, ...
ტომ უნდა მივმართოთ წყლის...
სუფთავებას სხვა-და-სხვა ნაი...
ტყუილათ გაირჯებიან ზოგი...
წვილები და იტყვიან: „თუ ...
დელ დროში ხალხი წყალ...
ასუფთავებდა, იმიტომ ჯანმ...
ლათ არა სცხოვრობდნენო“ ...
სიცრუეა ავადმყოფობა და...
დიდი უწინდელ დროში უ...
ხშირათ იყო სანამ ეხლა, რა...
გვიძლიან დავამტკიცოთ მით...

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 819.

...უკანასკნელ ორმოც და ათ წელიწადში მცხოვრებთა რიცხვმა ...სამჩნევათ იმატა, უწინდელ დროში წამქცევი ავადმყოფობა აოხრებდა თითქმის მთელ გუბერნიებს ...თემებს. 1893 და 1894 წლების ხოლერა შედარებით 1832 ...ლის ხოლერასთან სულ უმნიშვნელო იყო, რომლისაგანაც დაიხოცა თითქმის ნახევარი მცხოვრები მთელი რუსეთისა და აგრეთვე საზღვარ გარეთ, მხოლოთ იმიტომ, რომ მაშინ წყლის სისუფთავეს ...აგრე რიგათ ყურადღებას არ აქ...ევდნენ. ახლანდელ დროში ქა...ლაქები ხარჯავენ რამდენიმე მი...ლიონ მანეთს წყლის გამასუფთავებელ მანქანებზე, ფილტრებზე, რომლებითაც მდინარე წყალს სა...ამ წყლის გამყვან მილებში შეუშვებენ, გაატარებენ ჯერ წვრილ ...ა მერე სხვილ ქვიშაში, მაგრამ ...ით წყალი სრულიათ არ იწმინდება და მეტი ნაწილი ხალხი ... სარგებლობს გაუსუფთავებელი ...ყლით. საბედნიეროთ არის შინაური საშუალება წყლის გაწმენდისა, ესეთი გაწმენდა წყლისა ...ეუძლიან ყველას, რადგანც არ ...ხოულობს ბევრ ხარჯს. 1) სადაც ...უფთა წყალი სასმელათაც არ ...რის, არამც თუ საშინაო საქმიანობისათვის, იქ ასუფთავებენ წყალს ... ნაირათ: დიდ ქურქელში ჩაასხამენ წყალს, ჩაყრიან შიგ აყალო ...წას (глина) (სუფთა უნდა იყოს) ... მიწა წყლის ცუდ ნაწილებს ...ევისებს. ამ ქურქელში წყალი ...ნდა იდგას ერთი დღე, შემდეგ ...ნდა გადაასხათ მეორე ქურქელ...ი, მხოლოდ ფრთხილათ, რომ წყა...ი არ გაამღვრიოთ, თორემ ქუჟყი ...ევ გადაყვება მეორე ქურქელში, ...ე ასუფთავებენ წყალს საშინაო ...ქმიანობის სახმარებლათ. 2) პირ...ელი და საიმედო საშუალება ...სმელი წყლის გასუფთავებისა ...ღუღებაა. რაც წყალი ერთ დღეს ...უყოფათ სასმელათ ჩაასხით ქვაბ...ი და ადუღეთ ხუთმეტი მინუ...ი. დუღილი ხოცავს წყლის ყუ...ლ გადამდებ სენის ნაწილებს და ...ის სრულიად უვნებელს ჯანმ...თელობისთვის. თუ წყალი ძა...იან მღვრიეა ჯერ პირველი სა...უალებით დაწმინდეთ და მერე ...დუღეთ. ასეთ ნაირათ მომზა...ებული წყალი სრულიათ არ ...ნებს ჯანმრთელობას.

 შ. კ—ძე.

# წვრილი ამბავი

—

...უმდიდრესი კაცი მთელს ხმელეთზედ. ამ ჟამად ამერიკაში უმდიდრეს უმდიდრეს კაცად ითვლება როკ...ფელლერი, რომელსაც თურმე ერთ ...ჯერ მილიარდ მანეთზედ მეტი ნადდი ფული აქვს, ასე რომ თითქმის ანგარიში არ იცის თავისქონებისა. როკფელლერს ამ ორმოცი წლის წინად, თურმე არც ათასი მანეთი ჰქონია და ეხლაკი პირველ მდიდრად ითვლება მთელს ხმელეთზედ. როკ ფელლერი თურმე ისე მოღლილა თავის აუარებელი საქმეებით, რომ იძულებულია წელიწადში ხუთი მილიონი აძლიოს მოურავს, ოღონდ შესძლოს მისი საქმეების წარმოება და თვითონ განცხრომას მიეცეს. ამათ ეტყობა, რომ დმერთი, რომ სიმდიდრეს მისცემს თან ტანჯვა წვალებასაც დაურთავს. საკვირველ არიან საქმენი შენი უფალო, ზოგს ტომრით აძლევ ფულს, ზოგს კი არც დუკმა პურსა.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

15 მაისი.

**ჰააგა**. კონფერენციის პირველი კომისია, რომელსაც შეიარაღების და სამხედრო ხარჯის შემცირების საქმე აქვს მინდობილი, გუშინ დილით შეიკრიბა ბერნაერტის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარემ ჩამოთვალა ის მუხლები, რომელიც კომისიამ უნდა განიხილოს და შეიმუშაოს. შემდეგ კომისიის ორსავე სექციას ცალ-ცალკე ჰქონდა სხდომა, რომლებზედაც შეუდგნენ აღნიშნულ კითხვების განხილვას. მესამე კომისია შეიკრიბა 2 საათზედ ბურჟუას თავმჯდომარეობით. თავის სიტყვაში თავმჯდომარემ აღნიშნა ის რიგი, რა რიგსაც კომისია უნდა დაადგეს სამედიატორო სამართლის საქმის განხილვის დროს და განაცხადა, სასურველია, რომ უთანხმოება სახელმწიფოთა შორის ძალ-მომრეობის ნაცვლად მშვიდობიანად იქმნას ხოლმე აშორებული. ინგლისის რწმუნებულმა პუანსეფოტმა წინადადება მისცა კომისიას დაუყონებლივ შეუდგეს იმის განხილვას, დაწესებულ იქმნას თუ არა სამუდამო სამედიატორო სასამართლო. კომისიამ არ შეიწყნარა ეს წინადადება და გადასწყვიტა საგნების განხილვის დროს იმ რიგს დაადგეს, რომელიც თავმჯდომარემ აღნიშნა. კომისიამ შემდეგ მცირე კომისია აირჩია, რომელიც 8 კაცისაგან შესდგება. ამ მცირე კომისიამ სხვა და-სხვა საბუთის ქაღალდები უნდა განიხილოს, რომელიც შემდეგ კომისიას წარედგინება.

16 მაისი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: რადგანაც გაზ. »Россія“-მ დაარღვია ცენ. და ბეჭვდითი სიტყვის წესდების მე-136 მუხლი, აღეკრძალოს ამ გაზეთს (ცალკე ნომრების გაყიდვა.

**მადრიდი.** გაზეთები იუწყებიან შინაარსს იმ პროექტისას, რომელიც სამხედრო რეფორმებს შეეხება. ამ პროექტით სამხედრო ბეგარა ყველასათვის სავალდებულო იქმნება. ამ რეფორმების შემოღების შემდეგ სახელმწიფოს შეეძლება იყოლიოს 250-300 ათასი ჯარის კაცი.

**პარიჟი.** პროკურორს მაზოს ეუწყა მოხსენება ბალლო-ბოპრესი, რომელიც იმ დასკვნას დაადგა, რომ დრეიფუსის საქმე მეორე სამხედრო სასამართლოს უნდა გადაეცეს და ხელ-ახლა იქმნას განხილული.

17 მაისი.

**პეტერბურგი.** დიდნი მთავარნი მიხეილ ნიკოლოოზის ძე და მიხეილ მიხეილის ძე დაბრუნდნენ საზღვარ გარეთიდგან.

**ხაბაროვსკი.** იუწყებიან, რომ ლიხ-უნგ-ჩანგმა, ყვითელ წყლიდგან დაბრუნებისათანავე, ქვრივ დედოფალთან მოლაპარაკების შემდეგ, თხოვნა შეიტანა, დამითხოვეთ იმ თანამდებობიდგან, რომელსაც სიტახტო ქალაქში ვასრულებ, და ნება დამრთეთ დავბრუნდე ჩემს სამშობლო ქალაქში სიცოცხლის უკანასკნელ დღეთა გასატარებლადაო. ამბობენ, რომ დედოფალი მზადაა, შეიწყნაროს ეს თხოვნა, მხოლოდ ამისი შესახები ბრძანება-კი ჯერ არ გამოცემულაო.

**პარიჟი.** სენის მთავარ-საბჭოს თავმჯდომარე რადიკალი ტიულიე სენატორად იქმნა ამორჩეული.

კომუნის წლის თავის შესრულებისაგამო მემანიფესტაციეთ პროცესსიის გამართვა უნდოდათ, ამის გამო შეტაკება მოუხდა პოლიციასთან, რომლის დროსაც დაჭრილ იქმნა რამდენიმე მემანიფესტაციე და ხუთი აგენტი პოლიციისა. რამდენიმე კაცი დაპატიმრებულია.

**სოფია.** საერო კრების საგანგებო სესსია დაიწყო 28 (16) მაისს თავადის ფერდინანდის სეფესიტყვით, რომელშიაც გაიხსენა თავისის მეუღლის გარდაცვალება და ხალხს მადლობა განუცხადა მონაწილეობის მიღებისათვის. შემდეგ სეფე სიტყვაში აღნიშნულია ის გარემოება, რომ რუსეთთან, ბოლგარიის განმათავისუფლებელთან, მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს და ასევეა სხვა დიდ სახელმწიფოებთან და მეზობელ სამეფოებთან, განსაკუთრებით ოსმალეთთანაო. ამ მეგობრულ დამოკიდებულების ნიშნად ბოლგარიის წარმომადგენელნი მონაწილეობას იღებენ მშვიდობიანობის კონფერენციაში· სეფე-სიტყვა აღნიშნავს, რომ არჩევანთა თავისუფლების წყალობით უკანასკნელ არჩევანებზედ ამორჩეულ იქმნენ ყველა მიმართულების წარჩინებულნი კაცნიო. დასასრულ ნათქვამია, რომ შეტანილია კანონ-პროექტი სახელმწიფო ვალების კონვერსიისა და აღმოსავლეთის გზებთან მორიგების შესახებაო. ეს სიტყვა აღტაცებით იქმნა კრების მიერ მოსმენილი. კრების პრეზიდენტად ამორჩეული ბატჩევი, მთავრობის მომხრე დასის წევრია·

# რედაქციისაგან

—

**მელიქედაურში** მხდალს. თქვენი წერილი ფრიად საინტერესოა, მაგრამ მისი დაბეჭდვა მოუხერხებელია. მეტად აშკარად არიან გამოყვანილნი ბანქო-ნარდის მოტრფიალენი და საჩივარიც შესაძლებელია.

**უდეში** უდელს. თქვენი წერილი მამასახლისის გადაყვანაზე ვერ იბეჭდება.

**ტფილისში** წესიერების მსურველს. თქვენი უკანასკნელი წერილი არ დაიბეჭდება.

**ზესტაფონში** სოფლელს. თქვენი წერილი დაბის იარმუკის შესახებ ვერ იბეჭდება.

**სარხერში** იქაურს. უსახელო წერილს ვერ ვბეჭდავთ. მოამბემ უთუოდ უნდა შეატყობინოს რედაქციას თავისი ვინაობა.

**ოჩამჩირეში** უსახელო მოკამათეს. თქვენი საპასუხო წერილი „ალი-... წინააღმდეგ ვერ დაიბეჭდება, ვინაიდგან ყოველივე საბუთს და სიმართლეს მოკლებულია. დაქომაგება არც ჩერელევს ა არც ხორავას არ სჭირიათ, ორთავენი საკმაოდ გამოცდილები არიან.

**ხ. ვანში** ნეოფიტე მახარაძეს. თქვენი წერილი დასაბეჭდად მოუხერხებელია, ხოლო თუ ამ წერილის შინარს გააგებინებთ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს, ეჭვი არ არის ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ.


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ცნობილის და საფრანგეთის საყვარელ პოეტის ბერანჟეს თხზულება.

**„ბ ე რ ა ნ ჟ ე“**

ქართულად

გ. გვაზავას თარგმანი.

**ფასი 40 კაპ.**

წიგნი მოზრდილია, სუფთაა და ლამაზად არის გამოცემული; შეიცავს 40 საუკეთესო ლექსს და ავტორის სურათს.

ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოიწერს, 20% დაეთმობა „ცნობ. ფურც.“ ხელის მომწერთ წიგნი გაეგზავნება ორიაბაზის ფოსტის ღერკით. (10—10)

სტამბა ტელეფონი 648.

# ორთქლით მომუშავე ტამბა
# ექვთიმე ი. ხელაძისა

ტელეფონი 648. სტამბა

ლორის-მელიქ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკლ. ახალ შენობაში.
(არსებობს 1873 წლიდამ).

სტამბამ ახლათ მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე მბეჭდავი მანქანა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საჭრელი ავტომატიური აპპარატებით.

მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელიდამ (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.

მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატებით

ასრულებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ადგილობრივი, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, ბლანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. და სხვ.

საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასათ. ტფილისის გარეშე შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით: въ Тифлисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—32)

# РОССІЯ

## ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на ГАЗЕТУ „РОССІЯ“

| | съ пересылкою въ россія р. | к. | за границ. р. | к. | | съ пересылкою въ россія р. | к. | за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| На годъ . . . | 12 | — | 24 | — | На 6 мѣсяц. . . | 6 | 60 | 13 | 20 |
| » 11 мѣсяц. . | 11 | 10 | 22 | 20 | » 5 » . . | 5 | 70 | 11 | 40 |
| » 10 » . . | 10 | 20 | 20 | 40 | » 4 » . . | 4 | 80 | 9 | 60 |
| » 9 » . . | 9 | 30 | 18 | 60 | » 3 » . . | 3 | 90 | 7 | 80 |
| » 8 » . . | 8 | 40 | 16 | 80 | » 2 » . . | 3 | — | 6 | — |
| » 7 » . . | 7 | 50 | 15 | — | » 1 » . . | 1 | 60 | 3 | 20 |

### ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:

Въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ газеты «Россія (Невскій № 86).

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ: для служащихъ—по третямъ чрезъ ихъ казначеевъ; неслужащіе же могутъ обращаться съ своими заявленями въ С.-Петербургѣ (Невскій № 86).

За перемѣну адреѣсса уплаиивается 40 коп. Отделрные нумера газеты «Россія» продается по 6 коп.

### ПРІЕМЪ И ПЕЧАТАНІЕ ОБЪЯВЛЕНІИ:

Плата за объявленіе: впереди текста за каждую строку петита по 50 коп. позади текста по 25 коп. Контора газеты открыта ежедневно съ 10 ч. до 6 часовъ по полудни: редакція газеты открыта съ 1 часу пополудни до 10 часовъ вечера. Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневно отъ 2 до 5 часовъ пополудни.

Доставляемыя въ редакцію статьи должны быть за подписью и съ адресомъ, автора, безъ чего онѣ печмтаемы не будутъ. Статьи, доставляемыя безъ обозначенія условій, оплачиваются по усмотрѣнію редакціи. Рукописи не возвращаются.

### ЗАВѢДУЮТЪ ОТДѢЛАМИ:

1 Финансовымъ, экономическимъ, земскимъ и крестьянскимъ: Г. П. Сазоновъ,
2) Литературнымъ и политическимъ: А. В. Амфитеатровъ.
3) Научнымъ: профессоръ П. И. Ковалевскій, dr. И. Л. Янушкевичъ.
4) Внутреннихъ вопросовъ: М. П. Петровъ.
5) Иностраньымъ: Л. Ю Гольштейнъ.
6) Музыкальнымъ: профессоръ Н. Ѳ. Соловьевъ и Я. А Рубинштейнъ.
7) Художественнымъ И. Ф. Порфировъ.
8) Хроники: А Н. Черный.
9) Провинціальной хроники: М. В. Головинскій.
10) Театральной хроники: Ю. Д. Бѣляевъ.
11) Московскимъ: В А. Гиляровскій.

Общественный фельетонъ—по воскресеньямъ—Old Gentleman.

Провинціальный фельетонъ—по субботамъ—В. М. Дорошевичъ.

По средамъ печатается «Миллюнеръ» повѣсть В Г. Авсѣенко.

Постоянный корреспондентъ въ Парижѣ: А. П Плетневъ.

Корреспондентъ въ специальной командировкѣ по недороднымъ мѣстностимъ: Сергѣй Печоринъ (С. А. Сафоновъ).

Постоянные собственные корреспонденты въ Вѣнѣ, Львовѣ, Варшавѣ Софіи, Константинополѣ, Одессѣ и т. п. (8—2)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи двойной итальянской** по разнымъ отраслямъ торговой мышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учеб заведеніи**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2 часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число каждаго мѣся

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальст**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ари тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счет 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (52 дачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ мвтора: Михайловская ул., № 71.** (100—2

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ
## НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ
## для самообразованія

ГОДЪ-Й Г. ИЗД.

# МІРЪ БОЖІЙ

ГОДЪ-Й Г. ИЗД.

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и помъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія п толагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. (ицкой; «Риштау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Арт путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), ра Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Го го; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разск г.г. Бунина, Патапенко, Станюковича, Чирикова

**Научныя статьи и сочиненія**. «Антропологическіе очерки» пр Бранта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», .В Битнера; « льзъ Парнель», Ев Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», Ш. П. Милюкова. «Александръ I и его время», А. Прѣсякова: «А. С. П кинъ (юбилейная статья) Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Ива «Ада Негри», В. Фригче: «Очерки по соціальной экономіи», прив.-доц Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Крживи го; «Положеніе труда въ Аангліи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріу эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, настоящее и будущее, д-ра философіи В. Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной фи фіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Релцгія красоты» (джонъ кинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки ники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайн обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки Изъ запад литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Т щія научныя новости. Библіографія. Новости иностранной тературы.

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ гороса Россіи на годъ 8 руб
Безъ доставки на годъ . . . . . . 7 »
За границу на годъ . . , . . . 10 »
Вмѣсто разсрочки допускается подписка:

**По полугодіямъ;**

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р
За границу . . . 5 р
Безъ доставки по соглашенію конторой

**по третямъ года:**

Съ доставкой и пересылкой во города Россіи;
въ январѣ . , .
» маѣ . . .
» сентябрѣ . . .
За границу: въ январѣ
» » » маѣ .
» » » сентябрѣ .

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку повышенія подписной цѣны

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница А Давыдова. Редакторъ В. П. Острогорс


Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Мая 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“) ვ. ბენიძე), რედაქტორ-გამომცემელი 8.